



სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტების დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო



სამოქალაქო
ბიუჯეტის
სტანდარტების
დანერგვის
პრაქტიკული
სახელმძღვანელო

მოხარულნი ვართ წარმოგიდგინოთ სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტების დანერგვის პრაქტიკული სახელმძღვანელო.

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავდა პოლონელი ექსპერტების მხარდაჭერით იმ ადამიანთა ჯგუფის მიერ, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოში სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელებაში. მათ შორის არიან კოორდინატორები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების პრაქტიკოსი. ამიტომაც იგი დაფუძნებულია რეალურ, ქართულ გამოცდილებაზე, რომელიც დაგროვდა ორი სემინარისა და კონსულტაციების დროს, ასევე ამ ინსტრუმენტთან სამწლიანი მუშაობის შედეგად. სახელმძღვანელოს საფუძვლად დაედო ასევე წინა პროცესების შეფასება და საერთაშორისო გამოცდილება. სტანდარტების შემუშავების პროცესი ხორციელდებოდა პოლონელი ექსპერტების მხარდაჭერით საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის 2018 წლის პოლონურ-ქართული პროექტის „სამოქალაქო ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველობის განვითარების ინსტრუმენტი საქართველოში“-ს ფარგლებში.

2015 წელს, პირველად საქართველოში, მარნეულის მუნიციპალიტეტში პოლონელი ექსპერტების მხარდაჭერით განხორციელდა პირველი სამოქალაქო ბიუჯეტი - მოსახლეობის ჩართვა ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. ამის შემდეგ პირდაპირი დემოკრატიის ამ ინსტრუმენტმა საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტების და ორგანიზაციების დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველი მცდელობის შემდეგ გამოჩნდა პროცესების სხვადასხვა ვარიანტი, ადაპტირებული ადგილობრივი სპეციფიკის შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა სტანდარტების - პრინციპების განსაზღვრა, რომელთა განხორციელების გარეშე მიუხედავად მოდელისა და რეგიონისა, შეუძლებელია საუბარი ნამდვილ სამოქალაქო ბიუჯეტზე.

დოკუმენტი შეიცავს პრაქტიკულ რეკომენდაციებს და პრინციპებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, უნდა დაიცვან სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესები. ამ პუბლიკაციის დამატებას წარმოადგენს სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტები საქართველოში, სადაც ასევე აღწერილია ამ ინსტრუმენტის მიზნები და ძირითადი პრინციპები.

დოკუმენტის შექმნის პროცესი არის ბევრი დისკუსიისა და ქართველი პრაქტიკოსების განსხვავებულ მოსაზრებებს შორის კომპრომისის ძიების შედეგი. ამიტომაც, დარწმუნებულნი ვართ, რომ მაქსიმალურადაა გათვალისწინებული სხვადასხვა თვალსაზრისი და პრაქტიკა. ვიმედოვნებთ, რომ ეს დოკუმენტი ხელს შეუწყობს შემდგომ დისკუსიას სამოქალაქო მონაწილეობისა და პრინციპების თაობაზე, რაც ამჟამად ძალიან მნიშვნელოვანია.

რა არის სამოქალაქო ბიუჯეტი

სამოქალაქო ბიუჯეტი პირდაპირი დემოკრატიის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო მონაწილეობის ყველაზე მაღალ დონეს. ეს არის მოსახლეობის ჩართვა ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მათი აქტიური მონაწილეობის მეშვეობით.

სამოქალაქო ბიუჯეტის იდეა დაიბადა 1989 წელს ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგრიში და რამდენიმე წელია ინტენსიურად ვითარდება პოლონეთსა და უკრაინაში, ხოლო 2015 წლიდან უკვე საქართველოშიც. მარნეულის მუნიციპალიტეტის გარდა სამოქალაქო ბიუჯეტი დაინერგა:

- ქალაქ გორში - 2016 წლიდან, ხოლო 2018 წელს - მთლიანად გორის მუნიციპალიტეტში
- საჩხერის მუნიციპალიტეტში - 2017 წ.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტში - 2017 წ.
- ქალაქ წყალტუბოში - 2018 წ.

მთელ მსოფლიოში არსებობს სამოქალაქო ბიუჯეტის სხვადასხვა მოდელი, ყველა მათგანი მიმართულია სახელმწიფო სახსრების განაწილებაში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდაზე. ეს შეიძლება იყოს დაწესებულების (სკოლის ან კულტურის ცენტრის), რაიონის, ქალაქის, რეგიონის, მუნიციპალიტეტის, ან, როგორც პორტუგალიაში - მთელი ქვეყნის, ბიუჯეტი. სამოქალაქო ბიუჯეტი გრძელვადიანი და მუდმივი პროცესია, სადაც მოქალაქეები განსაზღვრავენ პრობლემებს, პრიორიტეტებს და გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად წარმოადგენენ საკუთარ პროექტებს. პროექტებს ირჩევს ადგილობრივი მოსახლეობა, ხოლო ახორციელებს ადგილობრივი ხელისუფლება.

თუმცა სამოქალაქო ბიუჯეტი არ არის მხოლოდ მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების „მშრალი“ პროცესი. ეს არის მოსახლეობის ჩართულობით თვითმმართველობის განვითარების ადგილობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. დისკუსიის პროცესში მოქალაქეები მონაწილეობენ, როგორც „თავიანთი საქმეების ექსპერტები“, აყალიბებენ თავიანთ საჭიროებებს და განიხილავენ თემის პრიორიტეტებს მისი საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისით. სამოქალაქო ბიუჯეტი მონაწილეობის სხვადასხვა ფორმის (საჯარო კონსულტაციები, შეხვედრები, საჯარო მოსმენები, პროექტების ერთობლივი დაგეგმვა, მრჩეველთა საბჭო და სხვა) გაერთიანების საშუალებას იძლევა, რომელიც უნდა განხორციელდეს ურთიერთქმედების საფუძველზე. ამიტომაც სამოქალაქო ბიუჯეტი უნდა იყოს განხილული, როგორც თვითმმართველობის ფუნქციონირების გაუმჯობესების ელემენტი, რომელიც ეფუძნება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ურთიერთგაგებას და თანამშრომლობას.






სამოქალაქო
ბიუჯეტის
სტანდარტები -
ეთაპების
მიხედვით

გარდა სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების პროცესებს შორის სხვაობისა, არსებობს ამ პროცესის გარკვეული ეტაპებიც. პროცედურის ფორმა ადაპტირებული უნდა იყოს ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, მაგალითად, მუნიციპალიტეტის სიდიდის, ბიუჯეტის ოდენობის ან მოსახლეობის მრავალფეროვნების შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო ბიუჯეტი არის პროცესი. ყველა ეტაპი ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია და ერთად იძლევა პროცესის სრულ სურათს. ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი მოვლენა, იგი ციკლური ხასიათისაა და შეეფერება ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების ნორმალურ ციკლს.

სამოქალაქო ბიუჯეტის ყოველი ეტაპისათვის შეიძლება განისაზღვროს პრინციპები, რომელთა დაცვის გარეშე პროცესი არ შეესაბამება სამოქალაქო ბიუჯეტის არსს. ქვემოთ მოცემულია ძირითადი (საბაზისო) სტანდარტები, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელებისთვის. ასევე აღწერილია დამატებითი რეკომენდაციები და კონკრეტული შესაძლო ინსტრუმენტები და გადანყვეტილებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს. მოცემულია ასევე საქართველოს იმ მუნიციპალიტეტების კარგი პრაქტიკის მაგალითები, რომლებმაც განახორციელეს სამოქალაქო ბიუჯეტი.



პროცესის მომზადება

სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის ინიცირება ყველას შეუძლია - მოსახლეობას, მერს, საკრებულოს დეპუტატებს ან არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა ამ ინსტრუმენტის დანერგვის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ხელისუფლებამ. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყება პროცესის დეტალური შემუშავება. იმისათვის, რომ ის კარგად იყოს მომზადებული, აუცილებელია საკმარისი დროის გათვალისწინება (სულ მცირე - ერთი თვე, თვე-ნახევარი).

მუნიციპალიტეტში გულდასმით უნდა იყოს გააზრებული და განხილული სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების მიზანი. ეს ხელს შეუწყობს მომზადების დროს დასმულ ბევრ კითხვაზე პასუხების გაცემას. მნიშვნელოვანია, განხილვაში მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ხელისუფლების ორგანოები, არამედ აქტიური მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციები ან მრჩეველთა საბჭოს წევრები - ისინი შეძლებენ დახმარება გაუწიონ და მხარი დაუჭირონ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მნიშვნელოვანია ამ პროცესში საკრებულოს წევრების ჩართულობა, რადგან მათ უნდა მიიღონ ბიუჯეტი და გადაწყვეტილებები მოქალაქეთა მიერ შერჩეული პროექტების განხორციელების თაობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა სხვადასხვა ჯგუფის მონაწილეობა აუცილებელია არა მხოლოდ მომზადების ეტაპზე, არამედ მთელი პროცესის განმავლობაში - ეს არის სამოქალაქო ბიუჯეტის ერთ-ერთი პრინციპი.

მინიმუმი

მუნიციპალიტეტის დონეზე გადაწყვეტილების მიღება სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის შესახებ

გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად აუცილებელია:

- მთლიანი პროცესის მიზნის განსაზღვრა.
- სამოქალაქო ბიუჯეტის ერთიანი, მთლიანი თანხის განსაზღვრა, როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარკვეული პროცენტული


ოდენობა, რომლის ხარჯვის მიზნობრიობას ადგენს თავად მოსახლეობა.

- მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროების განსაზღვრა, რომლებშიც მოქალაქეებს შეუძლიათ წარმოადგინონ პროექტები. თუ მუნიციპალიტეტში მთავარი პრობლემა არის, მაგალითად, ინფრასტრუქტურა, პროექტების მიღება შეიძლება იყოს შემოფარგლული მხოლოდ ამ სფეროთი. თუ გსურთ კრეატიული პროექტების გამოვლენა, აქტიურობაზე გავლენის მოხდენა და გაიგოთ მეთი, თუ რა არის მნიშვნელოვანი მოსახლეობისთვის, ამ შემთხვევაში არ უნდა იღოს შემზღუდვები.
- სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების დონის შერჩევა (მთლიანი მუნიციპალიტეტი, მისი ნაწილი ან ქალაქი) და შესაბამისად, უკვე განსაზღვრული სამოქალაქო ბიუჯეტის ერთიანი, მთლიანი თანხის თანაბრად, სამართლიანად გადანაწილება შერჩეული დონეების მიხედვით, ანუ საცხოვრებელი ზონების მიხედვით.
- პროცესის ვადების განსაზღვრა (მინიმუმ 1 წელი).
- მუნიციპალიტეტში მთელი პროცესის კოორდინატორის დანიშვნა და განყოფილებების თანამშრომლებისაგან პასუხისმგებელი გუნდის (სამუშაო ჯგუფის) ჩამოყალიბება, რომლებიც ჩაერთვებიან ამ პროცესში. თუ დასაშვებია პროექტების წარდგენა ყველა კომპეტენციებში, მაშინ ამ ჯგუფში იქნებიან ფინანსთა განყოფილების, ინფრასტრუქტურის, იურიდიული, სოციალური და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებების წარმომადგენლები. მათი ამოცანა იქნება მუნიციპალიტეტის ფარგლებში რეგულაციების მომზადება, ინფორმირება და პროცესის განხორციელება, განსაკუთრებით პროექტების წარდგენისა და ვერიფიკაციის ეტაპზე.
- საწყის ეტაპზევე ვიზრუნოთ პროცესის მონიტორინგზე, რომელიც ყველა ეტაპს უნდა ახლდეს. თუ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ჯგუფი, რომელიც ახორციელებს დარჩენილი პროგრამებისა და პროექტების მონიტორინგს, მაშინ უნდა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი. ეს შეიძლება იყოს ადამიანები სამუშაო ჯგუფიდან ან სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

- სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გახდეს ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის.

რეგულაციების შემუშავება

- რეგულაციები უნდა შეიმუშაოს სამუშაო ჯგუფმა. ასეთ ჯგუფში მონაწილე უნდა იქნეს არა მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები, არამედ მრჩეველები, სამოქალაქო სექტორი, არსებული საბჭოების წევრები (მრჩეველთა საბჭო, ახალგაზრდული საბჭო, გენდერული საბჭო და ა.შ.). კარგი იქნება, თუ ჩაერთვებიან სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარებით დაინტერესებული ადამიანები, „პრომოუტერები“ და პროცესის „ამბასადორები“, რომლებსაც გააჩნიათ სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის ორგანიზებისა და განხორციელების ან მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილება. ეს უნდა იყოს მუდმივი ჯგუფი, რომელიც გარდა რეგულაციების შემუშავებისა, დახმარებას გაუწევს პროექტების წარდგენისა და შერჩევის ეტაპზე. მონაწილეების რაოდენობა უნდა იყოს ადაპტირებული სამოქალაქო ბიუჯეტის მასშტაბისთვის.
- სამუშაო ჯგუფის მუშაობა გამჭვირვალე უნდა იყოს - ყველას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სხდომებში, სხდომების ოქმები უნდა ქვეყნდებოდეს, მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობის ვებგვერდებზე.
- რეგულაციების მომზადებამდე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის სპეციფიკის შესწავლა და მონაცემთა მომზადება, მაგალითად, მოსახლეობის რაოდენობა დასახლებულ პუნქტებში, სოციალური პრობლემები და ა.შ. ეს იქნება მოდელის მომზადებისა და შერჩევის საფუძველი.
- საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ზონებად დაყოფა და სამოქალაქო ბიუჯეტის განაწილება ზონების მიხედვით, მუნიციპალიტეტის სპეციფიკისა და მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც თავდაპირველად იყო განსაზღვრული.
- რეგულაციები უნდა შეიცავდეს სამოქმედო გეგმას, პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას და ეტაპების კალენდარულ გრაფიკს.



სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის მომზადება

- პროგრამა უნდა იყოს მომზადებული მუნიციპალიტეტის მიერ სამოქალაქო ბიუჯეტის რეგულაციების საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ.
- პროგრამა უნდა შეიცავდეს: მიზანს, საბოლოო და შუალედური შედეგებს, შეფასების ინდიკატორებს, ქვეპროგრამებს და ღონისძიებებს, პროგრამის ბიუჯეტს, საინფორმაციო კამპანიის მეთოდოლოგიას.
- პროგრამა უნდა იყოს შეტანილი პრიორიტეტების მუნიციპალურ დოკუმენტსა და ბიუჯეტში.
- პროგრამის შემუშავებისას აუცილებელია საბიუჯეტო კალენდრის მკაცრი დაცვა, რადგანაც სამოქალაქო ბიუჯეტი უნდა განხორციელდეს კალენდრის მიხედვით.

სამოქალაქო ბიუჯეტის რეგულაციებისა და პროგრამის ოფიციალური მიღება და დამტკიცება

- რეგულაციები შეიძლება მიღებულ იქნეს მუნიციპალიტეტის ან/და საკრებულოს დონეზე - მერის ბრძანებით ან საკრებულოს გადანწყვეტილებით. არჩევანი დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის

ხელისუფლების გადანაცვეტილებამ, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობს რეგულაციები სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ.

- სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა უნდა იყოს მიღებული და დამტკიცებული საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად.
- მნიშვნელოვანია, რომ ეს დოკუმენტი იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, მოსახლეობისთვის კი ვერსია უნდა იყოს მომზადებული მარტივ და გასაგებ ენაზე.

დასაწყისში ასევე აუცილებელია ყველა ეტაპის საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა.

რეკომენდაციები

- სამუშაო ჯგუფი შეიძლება შეიქმნას ღია მიღების გზით, მაგალითად, კონკურსის გამოცხადებით, მისი პირობების აღწერით (როგორ ხდება არჩევა, ვინ უნდა გადანაცვით და რა კრიტერიუმებით), განაცხადების და რეკომენდაციების მიხედვით წევრების არჩევით. შერჩევის კრიტერიუმებად შეიძლება განისაზღვროს, მაგალითად, მოსახლეობასთან მუშაობის გამოცდილების ქონა. ამ შემთხვევაში კონკურსის შედეგები ღიად უნდა გამოცხადდეს.
- სასურველია სამუშაო ჯგუფის მომზადება და მისი წევრებისთვის ტრენინგის ჩატარება არა მხოლოდ სამოქალაქო ბიუჯეტის საკითხებთან დაკავშირებით, არამედ ჯგუფთან მუშაობის უნარებთან, ფასილიტაციის უნარებთან და მუნიციპალიტეტის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- სამუშაო ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს პროექტის განხორციელების მონიტორინგის და გამოკითხვების მომზადების ფუნქცია (იხილეთ მესამე და მეოთხე ეტაპები).
- ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში სოციალური მდგომარეობის ანალიზის ჩატარება და ადგილობრივი საზოგადოებრივი პარტნიორების - არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების „კარტირება“, რომლებსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში სხვადასხვა როლში - დაეხმარონ ინფორმირებაში, მოქალაქეებს დაეხმარონ პროექტების წერაში ან სამუშაო ჯგუფში შესვლაში.

- კარგი იქნებოდა არსებული საბჭოების (მაგალითად, ახალგაზრდული, ქალთა, მრჩეველთა საბჭო და ა.შ.) და მაჟორიტარი დეპუტატების ჩართვა. ისინი, როგორც წესი, აქტიური ადამიანები არიან, რომლებიც პროცესის შესახებ მინიმალურად იყვნენ ინფორმირებული, მაგრამ შეუძლიათ რეალური დახმარების გაწევა მთელი პროცესის განმავლობაში.
- სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების დასაწყისიდანვე კარგი იქნება, თუ ეს პროცესი გახდება „სამოქალაქო“ და ინკლუზიური. მაგალითად, შეიძლება ჩატარდეს შემუშავებულ რეგულაციებთან დაკავშირებით კონსულტაციები საზოგადოებასთან. შეიძლება სპეციალური შეხვედრის ორგანიზება ან შენიშვნების ელექტრონულად შეგროვება. ამ კონსულტაციების შემდეგ საჭიროა ყველა შენიშვნის განხილვა და ავტორების ინფორმირება. ამგვარად სამოქალაქო ბიუჯეტს შეუძლია ხელი შეუწყოს მონაწილეობის სხვა მექანიზმების ჩართვას.
- ეს პროცესი შეიძლება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის რესურსების საფუძველზე. თუმცა უმჯობესია უზრუნველყოს პროექტის ადმინისტრირების ბიუჯეტი, მათ შორის საინფორმაციო კამპანია, რაც პროექტის უფრო ხარისხიანი განხორციელების საშუალებას მისცემს.
- მუნიციპალიტეტში, რომელსაც არ აქვს სამოქალაქო ბიუჯეტის გამოცდილება, შეიძლება ორგანიზებულ იქნეს იმ კომპეტენტური პირების, პრაქტიკოსების ვიზიტი, რომლებსაც შეუძლიათ ხელისუფლების დარწმუნება პროცესის დაწყებაში და გამოცდილების გაზიარება.
- თუ პროცესი პირველად არ ხორციელდება, ძალიან მნიშვნელოვანია ჩატარდეს წინასამუშაო შედეგების ანალიზი, შეფასება და ჩართული მხარეების გადამზადება, მათ შორის გუნდისაც, რომელიც ახორციელებდა პროექტს წინა წელს.
- უკვე დასაწყისიდანვე სასურველია მოქალაქეების ინფორმირებისათვის მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე სამოქალაქო ბიუჯეტისთვის ცალკე გვერდის შექმნა, სადაც განთავსდება სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ სრული ინფორმაცია - რეგულაციებით დაწყებული არჩეულ პროექტებამდე.

- სასურველია მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარებაში დაინტერესებული პირებისგან, პროცესის საუკეთესო „პრომოუტერებისგან“, „ამბასადორებისგან“ ჯგუფის შექმნა.

შესაძლო ინსტრუმენტები/გადანყვეტილებები:

- სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის შესახებ მერის ბრძანება ან საკრებულოს გადანყვეტილება და რეგულაციების მიღება.
- სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული ნორმატიული საბუთები (საინფორმაციო კამპანიის გეგმა, მოსახლეობის მიერ პროექტების არჩევის განხორციელების რეგულაციები).
- სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა.
- სამოქალაქო ბიუჯეტის ცალკე გვერდი ინტერნეტში.



საინფორმაციო კამპანია

ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი. მასზეა დამოკიდებული ყველა ქმედების წარმატება და მოქალაქეთა ჩართულობა. საინფორმაციო კამპანია უნდა დაიწყოს პროცესის დაწყებამდე და გაგრძელდეს ყოველ ეტაპზე. მნიშვნელოვანია სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში მოქალაქეთა ფართო მონაწილეობა, ამიტომაც საჭიროა ყველა ხელმისაწვდომი საშუალების და არხის გამოყენება.

მინიშუმი

- საინფორმაციო კამპანია უნდა ჩატარდეს მთელი პროცესის განმავლობაში და მის ყველა ეტაპზე.
- საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად საჭიროა ყველა შესაძლო რესურსების (ადამიანური, ფინანსური და არაფინანსური) მობილიზაცია.
- ასევე საჭიროა საინფორმაციო კამპანიის გეგმის შექმნა, ეტაპობრივად აღწერა, რა მოხდება ყოველ ეტაპზე, რა რესურსები, საშუალებები, მეთოდები და მასალები იქნება გამოყენებული, ვინ გააკეთებს ამას და როდის. ეს რესურსების ეფექტურად გამოყენების და ყველა მხარისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდების შესაძლებლობა იქნება, რაც დიდ გავლენას მოახდენს სამოქალაქო ბიუჯეტის წარმატებულ შედეგებზე.
- საჭიროა საინფორმაციო კამპანიის გეგმის მართვაზე პასუხისმგებელი პირის ან ჯგუფის განსაზღვრა.
- მუნიციპალიტეტში არსებობს ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო არხი - მასმედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიბლიოთეკები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ადმინისტრაციული სტრუქტურები. საინფორმაციო კამპანიაში უნდა იყოს ჩართული ყველა შესაძლო არხი, მათ შორის:
 - მუნიციპალიტეტის ვებსაიტი - ყველა საინფორმაციო მასალის განთავსება (ქვეგვერდის გამოყოფა);
 - სოციალური ქსელი - მაგალითად, ფეისბუქი - ყველა მასალის, შეხვედრების პირდაპირი ტრანსლაციების განთავსება, კომუ-

- ნიკაცია და უკუკავშირი მოსახლეობასთან;
- ბეჭდვითი მასალების, მათ შორის განაცხადის ფორმების, მომზადება და გავრცელება (მუნიციპალურ ტრანსპორტში, სოფლის ე.წ. „ბირჟებზე“, საინფორმაციო დაფებზე);
- ინფორმაციისა და მასალების გავრცელება არასამთავრობო ორგანიზაციების, მრჩეველთა საბჭოს, აქტივისტების მეშვეობით;
- საჯარო შეხვედრები და „კარდაკარ“ აქციები.
- ძალიან მნიშვნელოვანია მასალების მომზადება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისათვის მარტივ და გასაგებ ენაზე.

რეკომენდაციები

- რესურსები, რომლებიც შეიძლება მობილიზებულ იქნეს:
 - ადამიანური: მერიის თანამშრომლები (წარმომადგენლები და სპეციალისტები ადმინისტრაციულ და ტერიტორიულ ერთეულებში); PR-ის თანამშრომლები; ა(ა)იპ-ის თანამშრომლები; საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატები; მერიის/საკრებულოს სტაჟიორები და მოხალისეები; ნებისმიერი წარმომადგენლობითი საბჭო (მრჩეველთა საბჭო, ახალგაზრდული საკრებულო, „დარბაზი“ და ა.შ.); არასამთავრობო ორგანიზაცია.
 - ფინანსური: მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამა; არასამთავრობო და ბიზნესსექტორის ფულადი რესურსები.
 - არაფინანსური: არასამთავრობო და ბიზნესსექტორის რესურსები, ინფრასტრუქტურული რესურსები, მედიარესურსები.
- გემოხსენებული რესურსებით არ ამოიწურება ყველა შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებითი წყაროების მოძიება და მოზიდვა.
- ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის კომპეტენციების და, არსებობის შემთხვევაში, სტრატეგიული განვითარების გეგმის, არსებული გეგმებისა და პროგრამების შესახებ ინფორმირება. ასევე შეიძლება ამ დოკუმენტების ბმულის გაკეთება ვებგვერდზე, სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ დანარჩენ ინფორმაციასთან ერთად.
- საინფორმაციო კამპანიის დროს ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმირება ქალაქის გენერალური გეგმის შესახებ და არსებუ-

ლი ადგილების შესახებ, სადაც შესაძლოა პროექტების განხორციელება (უპირველეს ყოვლისა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უბნების რუკა). ეს ინფორმაცია ასევე შეიძლება განთავსდეს ვებგვერდზე სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ დანარჩენ ინფორმაციასთან ერთად.

- შეიძლება ასევე გამოიყენოს ინფორმირების შემდეგი არხები:
 - სოციალური რეკლამა და მასშედია;
 - სხვა ღონისძიებები, როგორიცაა ფესტივალები, ლექციები, კონცერტები და სხვა;
 - ესემეს-ინფორმირება;
 - ვირუსული მარკეტინგი - საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების გამოიყენება („ბირჟები“, ჩაიხანა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და ა.შ.);
 - საინფორმაციო პუნქტების მონყოლა არა მარტო მუნიციპალიტეტის შენობაში, არამედ იქ, სადაც იკრიბება ხალხი (მაგალითად, ავტობუსის გაჩერებაზე, ბაზარში), კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში და ა.შ.
- მუნიციპალიტეტის PR-განყოფილების ტექნიკური ბაზის გაფართოება (ვიდეოკამერა, პრინტერი და ა.შ.).
- თუ სამოქალაქო ბიუჯეტი პირველად არ ხორციელდება, უკვე განხორციელებული პროექტების მაგალითების შესახებ ინფორმირება.

შესაძლო ინსტრუმენტები/გადაწყვეტილებები: ბუკლეტები, ბროშურები, შტენდერები, სტენდები, ვიდეოსიუჟეტები, პუბლიკაციები, სოციალური რეკლამა, პრომოაქციები.

პროცესის მომზადება

(შეიძლება იყოს ჩართული მეოთხე ეტაპში)


ეს ეტაპი საჭიროა იმისათვის, რომ გავიგოთ, მოსახლეობის აზრით, რომელია მოსაგვარებელ პრობლემებს შორის მათთვის ყველაზე პრიორიტეტული. იგი საშუალებას აძლევს მოქალაქეებს თავად გაეცნონ პრობლემებს, სხვების აზრს ამასთან დაკავშირებით და განიხილონ ისინი საზოგადოებასთან. ამისათვის საჭიროა დისკუსიისათვის სივრცის შექმნა და მოსახლეობის ფართოდ ინფორმირება.

ძირითადი პრობლემების და პრიორიტეტების განსაზღვრა არ არის მხოლოდ სამოქალაქო ბიუჯეტის ელემენტი. კანონმდებლობის მიხედვით (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, IX თავი) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის ფორმირება უნდა შეიცავდეს მოსახლეობის აზრს. ამიტომაც აუცილებელია ამ პროცესების დაკავშირება. სამოქალაქო ბიუჯეტის შედეგები შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შექმნისათვის. ამრიგად, სამოქალაქო ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის ზოგადი პოლიტიკის ელემენტად იქცევა.

პრიორიტეტების განსაზღვრის ერთ-ერთი მეთოდი არის მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარება. თუ მუნიციპალიტეტში ასეთი გამოკითხვა ჩატარებული იყო პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის შემუშავებისთვის, მისი შედეგები უნდა იყოს გამოყენებული სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესშიც. თუ არა, მაშინ რეკომენდებულია მისი ჩატარება.

გამოკითხვის შედეგები სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესში უნდა იყოს გამოყენებული პროექტების მომზადების ეტაპზე (მეოთხე ეტაპზე), როგორც მოსახლეობასთან დისკუსიის ელემენტი იმის შესახებ, თუ რომელი პროექტებია მნიშვნელოვანი მუნიციპალიტეტისათვის და რომელ სფეროებშია მნიშვნელოვანი პროექტების წარდგენა. მოსახლეობასთან შეხვედრებზე უნდა გაკეთდეს გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი ძირითადი პრობლემების და პრიორიტეტების შესახებ პრეზენტაცია. ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც პროცესის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მოსახლეობის იდეებთან დაკავშირებით პირველი კონსულტაციების ჩატარების დროს.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტების შერჩევა ხორციელდება კონსენსუსის საფუძველზე, გამოვლენილი პრიორიტეტები პროექტების შერჩევის საფუძვლად იქცევა (შეექვე ეტაპი).



ბინიშუმი

- გამოკითხვა უნდა ჩატარდეს პროფესიონალურად, რათა მისი შედეგები ჩაითვალოს რეპრეზენტატიულად. საუკეთესო ვარიანტია, როდესაც იგი ტარდება დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციის მიერ. გამოკითხვა უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:
 - ცალკე სამუშაო ჯგუფის შექმნა ან იმ ჯგუფის გამოყენება, რომელიც ჩამოყალიბდა პროცესის მომზადების ეტაპზე. გამოკითხვის მეთოდისა და კითხვარების შემუშავება, მათ შორის სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა, უნდა მოხდეს მოსამზადებელ ეტაპზე;
 - მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარება;
 - გამოვლენილი შედეგების ანალიზი.
- გამოკითხვის ჩასატარებლად საჭიროა ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა ან დონორის მოძებნა;
- გამოკითხვის შედეგები მოსახლეობისთვის უნდა გახდეს ცნობილი, მათ შორის ღია შეხვედრების და მასმედიის პუბლიკაციების მეშვეობით.

რეკომენდაციები

გამოკითხვის ჩატარება სასურველია ყოველწლიურად, როგორც პროგრამის განხორციელების პროცესისა და მოსახლეობის კმაყოფილების შეფასება.

სამუშაო ჯგუფში უნდა იყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტები - სოციოლოგი, რომელიც სპეციალიზდება კვლევების ჩატარებაში და დაეხმარება მეთოდოლოგიის შერჩევაში. ამ პროცესში არ უნდა იყვნენ ჩართული მერის უფლებამოსილი წარმომადგენლები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (მერის წარმომადგენელი).

გამოკითხვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საინფორმაციო კამპანიის ელემენტი. ინფორმირების პროცესში უნდა იყოს ჩართული ყველა სახის მედია.

შესაძლო ინსტრუმენტები/გადაწყვეტილებები: შეიძლება ჩატარდეს მოსახლეობის ელექტრონული გამოკითხვა, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია.



პროექტების შემუშავება და წარდგენა

მოსახლეობის მიერ პროექტების შემუშავება და წარდგენა, პრინციპში, არის წინა ეტაპზე გამოვლენილი პრობლემებისა და პრიორიტეტების გადაჭრის სამოქმედო გეგმის უფრო დეტალური შემუშავება, ასევე მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი სხვა იდეებისაც. პროექტები წარმოდგენილი უნდა იყოს სპეციალური განაცხადის ფორმის მეშვეობით. ძალიან მნიშვნელოვანია პროექტების წერის პროცესში მხარდაჭერა, ასევე დისკუსიისათვის სივრცის უზრუნველყოფა.

მინიმუმი

- უნდა განისაზღვროს განაცხადების წარდგენის ვადები, მათი მიღების სისტემა, მათ შორის პროექტების რეგისტრაციის სისტემა, ასევე ამ პროცესზე პასუხისმგებელი პირები. ეს გადაწყვეტილებები უნდა იყოს ჩანერილი რეგლამენტში.
- განაცხადის ფორმა უნდა იყოს მარტივი, მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე მომზადებული და ყველასათვის ხელმისაწვდომი.
- პროექტების წარდგენის პროცესი უნდა იყოს მოსახლეობისთვის მაქსიმალურად მოსახერხებელი, მაგალითად, საპროექტო განაცხადები შეიძლება მიღებულ იქნეს ადგილობრივი კოორდინატორების მიერ.
- ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია სივრცის უზრუნველყოფა, სადაც მოსახლეობასა და ხელისუფლებას ექნებათ შესაძლებლობა ისაუბრონ პროექტებზე; საჭიროა მინიმუმ ერთხელ მოსახლეობასთან შეხვედრის გამართვა პროცესის ახსნისა და შესაძლო პროექტების შესახებ დისკუსიების მიზნით.
- პროექტების წერის პროცესში საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება და კონსულტირება ტექნიკური, იურიდიული და საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით. შეიძლება კოორდინატორების მომზადება, სპეციალური პუნქტის ან სატელეფონო მომსახურების შექმნა, საკონსულტაციო შეხვედრების დანიშვნა.
- პროექტების მიღების დასრულების შემდეგ საჭიროა საერთო სიის შედგენა და მისი გამოქვეყნება.

რეკომენდაციები

- თუ კოორდინატორებს არა აქვთ პროექტების წერის საკმარისი უნარი, რეკომენდებულია მათი მომზადება.
- იმისათვის, რომ მოქალაქეებს გაუადვილოთ პროექტების წერა და მიიღონ უფრო ხარისხიანი პროექტები, შეგიძლიათ:
 - მოამზადოთ ვიდეორგოლი განაცხადის შევსების წესის შესახებ;
 - შეადგინოთ სამუშაოების და მასალების სავარაუდო ფასების ჩამონათვალი (პრაის-ლისტი);
 - გახადოთ ხელმისაწვდომი მუნიციპალურ მონაცემთა ბაზები, მაგალითად, თავისუფალი მიწის ნაკვეთების ან/და სხვა მუნიციპალური ქონების შესახებ;
 - მოამზადოთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის კომპეტენციების შესახებ.
- ძალიან კარგი იდეაა პროექტების წერის მართლმართლი, სადაც ერთ ადგილას იკრიბება მუნიციპალიტეტის ყველა სპეციალისტი, ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულ მოქალაქეებს დახმარებას უწევენ პროექტის მომზადებაში, იძლევიან რეკომენდაციებს, პასუხობენ შეკითხვებს. ეს არის ასევე კარგი სივრცე მოქალაქეთა შორის იდეების გაზიარებისათვის. ამ ღონისძიების მომზადების პროცესში სასურველია ჩაერთონ არასამთავრობო ორგანიზაციები.
- კარგია, თუ განაცხადის წარდგენა შესაძლებელი იქნება ონლაინრეჟიმში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფორმა ჯერ კიდევ არ არის ისე პოპულარული.
- თუ სამოქალაქო ბიუჯეტი პირველად არ ხორციელდება, საჭიროა მოსახლეობისთვის გასულ წელს წარდგენილი პროექტების გაცნობა. მათი სია შეიძლება განთავსდეს მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე.
- კარგი პრაქტიკაა პროექტების ავტორთა ინფორმირება პროექტების რეგისტრაციისა და შემდგომი ქმედებების შესახებ SMS-შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
- ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა, კარგი იქნებოდა სხვა ტიპის პროექტების დაშვება და ალტერნატიული, ინოვაციური

იდების წარდგენის სტიმულირება. ერთი მხრივ, ეს გაზრდის მოსახლეობის აქტიურობას (განსაკუთრებით ახალგაზრდების), მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტისათვის საინტერესო გადაწყვეტილებების და იდეების გაჩენას.

შესაძლო ინსტრუმენტები/გადაწყვეტილებები: განაცხადის ფორმა, Google-ფორმა, მარათონი, SMS-ინფორმირება, მონაცემთა ბაზები, ქრონოგრამა.



პროექტების ვერიფიკაცია

მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი ყველა პროექტი შერჩევამდე უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ.

მინიმუმი

- ეს ეტაპი დროს ითხოვს. ვერიფიკაციისათვის უნდა იყოს გათვალისწინებული მინიმუმ 1 თვე - რაც დამოკიდებულია მოსახლეობის რაოდენობაზე, მუნიციპალიტეტის, გამოყოფილი ზონების სიდიდესა და შემოთავაზებული პროექტების რაოდენობაზე. კარგად ჩატარებული შემოწმება ხელს შეუწყობს განხორციელებისას შესაძლო პრობლემების თავიდან აცილებას.
- მუნიციპალიტეტის ფარგლებში კოორდინირებული მუშაობისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტის სხვადასხვა განყოფილების სპეციალისტებისგან ჯგუფის შექმნა. მათი ამოცანა იქნება პროექტების შემოწმება რეგულაციებში მიღებული კრიტერიუმების შესაბამისად. პროექტის პირველადი დამუშავების შემდეგ კომპეტენტურ განყოფილებაში ერთობლივ სხდომებზე უფრო ადევილი და სწრაფი იქნება ყველა ასპექტის შემოწმება.
- რეგულაციებში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კრიტერიუმები/შემოწმების ასპექტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროექტი, ანუ იურიდიული ასპექტები (უფლებამოსილია თუ არა მუნიციპალიტეტი განახორციელოს წარმოდგენილი პროექტი), ტექნიკური ასპექტები (რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება), ფინანსური ასპექტები (წარმოდგენილი პროექტის სავარაუდო ღირებულება), პროექტის განხორციელების ვადები.
- პროექტების ვერიფიკაცია არის მხოლოდ ბემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების შემოწმება და არა შეფასება. მოქალაქეებმა უნდა შეაფასონ, ღირს თუ არა პროექტის განხორციელება ან რამდენად მნიშვნელოვანია ეს პროექტი.
- ასევე აუცილებელია იმის შემოწმება, არის თუ არა ჩართული წარმოდგენილი პროექტები იმ პროგრამებში, რომლებიც უკვე არსებობს მუნიციპალიტეტში. თუ ისინი უკვე არის გათვალისწინებული განხორციელებისთვის მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში, მაშინ არ უნდა გადავიდნენ მომდევნო ეტაპზე.

- ვერიფიკაციის შემდეგ საჭიროა იმ პროექტების სიის შედგენა, რომლებმაც გაიარეს ვერიფიკაცია, ასევე იმათი, რომელთა განხორციელება ვერ მოხერხდება - მიზეზის დასაბუთებით.
- აუცილებელია შემდეგი ეტაპის დაწყებამდე/პროექტების შერჩევამდე საკმარისი დროის განსაზღვრა (მინიმუმ 1 კვირა), რათა პასუხი გაეცეს მოქალაქეების შეკითხვებს იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებმაც ვერ გაიარეს ვერიფიკაცია.

რეკომენდაციები

- თითოეული პროექტისთვის კარგი იქნება ვერიფიკაციის დოკუმენტის შედგენა, რომელშიც აისახება შემონმების მიმდინარეობა. ასეთ დოკუმენტში უნდა იყოს მითითებული შემონმების კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით პასუხისმგებელი განყოფილებები და პირები ამონმებენ წარმოდგენილ პროექტებს, ფიქსირდება მუშაობის შედეგები და უარის თქმის შემთხვევაში ახსნა-განმარტებები.
- ეტაპის გამჭვირვალობისთვის პროექტების ვერიფიკაციის ჯგუფში შეგიძლიათ ჩართოთ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები ან ჩაატაროთ სხდომები “Live-stream”-ის რეჟიმში.
- კარგი იქნება, თუ ავტორებს საშუალება ექნებათ გაასაჩივრონ შედეგები და ხელახლა გაიარონ პროექტების ვერიფიკაცია. ამ მიზნით შეიძლება შეიქმნას სპეციალური სააპელაციო ჯგუფი, რომელიც განიხილავს საჩივრებს.
- თუ ვერიფიკაციის ეტაპზე აღმოჩნდება რაიმე შეცდომა ან ელემენტი, რომელიც ხელს უშლის პროექტის განხორციელებას და რომლის გამოსწორება შესაძლებელია, სასურველია დაიშვას მათი კორექტირების შესაძლებლობა.
- შემონმების პროცესი ხშირად აღიქმება, როგორც დამატებითი დატვირთვა, ამიტომაც მოხელეებისათვის შეიძლება იყოს გათვალისწინებული სამოტივაციო სტიმულები (პრემია, დამატებითი ანაზღაურება).

შესაძლო ინსტრუმენტები/გადაწყვეტილებები: დოკუმენტი - პროექტების სია ვერიფიკაციის შემდეგ.

პროექტების შერჩევა

ბინიშუმი

- ვერიფიკაციის გავლის შემდეგ პროექტების შერჩევა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მცხოვრებლების მიერ.
- შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი პროცედურები:
- მოსახლეობის ღია კენჭისყრა ქალაქის ან/და ელექტრონული ფორმით;

ან

- მოსახლეობასთან ღია შეხვედრაზე მიღწეული კონსენსუსი შერჩევის შედეგებით - ოქმის შედგენასთან ერთად. თუ მუნიციპალიტეტი ზონებად არის დაყოფილი, ასეთი შეხვედრა უნდა ჩატარდეს თითოეულ მათგანში.
- მიუხედავად მეთოდისა, შერჩევის პროცედურა მკაფიოდ უნდა იყოს განერილი რეგულაციებში.
- პროცედურა უნდა იყოს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი, რათა მოსახლეობას შეეძლოს მარტივად ჩაერთოს პროცესში.
- მოსახლეობას უნდა ჰქონდეს საშუალება (მათ შორის საკმარისი დრო) მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი პროექტები დაიშვა კენჭისყრაზე.
- კონსენსუსის მეთოდით შერჩევისას საჭიროა მოქალაქეებს შორის დისკუსიისა და შეხვედრის ფასილიტაცია. დისკუსიაში არ უნდა მონაწილეობდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები და დეპუტატები. ამ შემთხვევაში პროექტების შერჩევისას შემუშავებული პრიორიტეტების გამოყენება სავალდებულოა.
- პროექტის ავტორები და მოქალაქეები ინფორმირებული უნდა იყვნენ შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არა უგვიანეს 1 კვირისა.
- შერჩევის შემდეგ, მისი შედეგები უნდა გახდეს ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის. შედეგების გამოცხადების თარიღი უნდა იყოს მითითებული რეგულაციებში.
- ავტორები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები უნდა იყვნენ ინფორმირებულნი და მონაწილენი, როგორც პრო-

ექტების შერჩევის პროცედურის დამკვირვებლები. ინფორმირება და მონევა შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან ტელეფონით.

რეკომენდაციები

- ჯერ შეიძლება ჩატარდეს კონსენსუსის პროცედურა, ხოლო თუ მოსახლეობა შეთანხმებას ვერ მიაღწევს, ორგანიზებულ იქნეს კენჭისყრის პროცესი. პროცესის ასეთი განვითარება უნდა იყოს გათვალისწინებული და ეს მომენტი უნდა განისაზღვროს რეგულაციებით.
- უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის, კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს დამოუკიდებელი მცხოვრებლებისგან შემდგარი კომისიის მიერ. პროექტების ავტორები არ შეიძლება იყვნენ ამ კომისიის წევრები, მაგრამ, სურვილის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ შესთავაზონ თავიანთი წარმომადგენელი (დამკვირვებელი).
- პროექტების არჩევის საჯარო გაშუქებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს “Live-stream”-ი, ასევე შეიძლება ჩაერთოს ყველა მედიასაშუალება.
- როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მოსახლეობის მონაწილეობის ელექტრონული ინსტრუმენტები ჯერჯერობით არც თუ ისე პოპულარულია, მაგრამ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც დამატებითი ელემენტი.
- ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს კენჭისყრამდე უფრო მეტი გაიგოს პროექტების შესახებ და განიხილოს ისინი. ავტორებზე უკეთესად ვერავინ წარადგენს პროექტებს, ამიტომაც კარგი იქნება, თუ ავტორებისთვის შეიქმნება სივრცე, სადაც მათ საშუალება ექნებათ რეკლამა გაუკეთონ თავიანთი პროექტებს (მასალების მომზადებაში შეიძლება დახმარება). თუ არის შესაძლებელი, გამოიყოს დისკუსიების ან შეხვედრების ადგილი.

შესაძლო ინსტრუმენტები/გადაწყვეტილებები: ბიულეტენები, მათ შორის ელექტრონული, პერსონალური მოსაწვევები მოქალაქეებისთვის, ელექტრონული ხმის მიცემის ორგანიზებისა და ჩატარების პროგრამები, მობილიზატორები.

ბიუჯეტში ასახვა

ყველა შერჩეული პროექტი უნდა იყოს შეტანილი ბიუჯეტში და უნდა განხორციელდეს სამოქალაქო ბიუჯეტის რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მუნიციპალიტეტში პროექტების გადაცემით, რომლებსაც განხორციელებენ მოხელეები. მოსახლეობას საშუალება უნდა ჰქონდეს გარკვეულწილად „გააკონტროლოს“ ის, რაც ხდება მათი მონაწილეობის შედეგებთან დაკავშირებით - თვალი ადევნონ პროექტების განხორციელებას, ასევე მონაწილეობა მიიღონ მათი დაგეგმვისა და შესრულების პროცესში.

მინიმუმი

- პროექტების შერჩევის შემდეგ უნდა შეიქმნას საბოლოო დოკუმენტი - პროექტების სია (ოქმი), რათა პროექტები აისახოს მუნიციპალური ბიუჯეტის პროექტში.
- შერჩეული პროექტები აუცილებლად უნდა განხორციელდეს რეგულაციებით განსაზღვრულ ვადებში. ნებისმიერი ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს ავტორებთან და შესაბამისად, ავტორები ინფორმირებული უნდა იყვნენ ამის შესახებ.
- თითოეული პროექტისთვის განსაზღვრული უნდა იყოს განხორციელების ვადები და ისინი უნდა იყოს დაცული.
- პროექტები დეტალურად უნდა იყოს აღწერილი შესაბამის საბიუჯეტო პროგრამაში, როგორც ამას მოითხოვს მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის შედგენის წესი.

რეკომენდაციები

- მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს სხდომები საკაროდ ხელმისაწვდომია, სასურველია, რომ სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების განხილვაზე სპეციალურად იყვნენ მოწვეულნი ავტორები და მოსახლეობა. ეს პროცესის ციკლის დასრულების მნიშვნელოვანი მომენტია.
- ბიუჯეტში შეტანილი სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტები შეიძლება აღინიშნოს სპეციალური კოდით (მაგალითად, ასლებით „სბ“).

პროცესის განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება

ძალიან მნიშვნელოვანია რეგულაციების შესრულების მონიტორინგი. ეს დაარწმუნებს მოქალაქეებს იმაში, რომ ისინი მონაწილეობენ პროცესში მკაფიო წესებით და ხელმისაწვდომი ინფორმაციით - სხვადასხვა ეტაპზე მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილებების მიზეზების შესახებ.

იმისათვის, რომ სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესი კარგად და სწორად წარიმართოს, საჭიროა მისი დროული და ყოველი ციკლის შემდეგ შეფასება. განხორციელებული პროცესის ანალიზი საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგის მომზადებას.

მინიშნუები

- განხორციელების ყველა ეტაპი უნდა იყოს გამჭვირვალე, ხოლო ინფორმაცია მათ შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი. ინტერნეტ-სივრცეში, მედიის ვებსაიტზე და მედიაში პერიოდულად უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამასთან დაკავშირებით.
- სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელება საკრებულოს წინაშე მერის ყოველწლიური ანგარიშის ნაწილი უნდა იყოს.
- განხორციელების ეტაპზე უნდა ჩატარდეს პროცესის მონიტორინგი პროგრამის განხორციელების დამტკიცებული ინდიკატორების შესაბამისად. გარდა განხორციელებისა, მონიტორინგი ასევე უნდა მოიცავდეს სამუშაოთა შესრულების ხარისხს და მოსახლეობის კმაყოფილებას.
- მოსახლეობა ჩართული უნდა იყოს პროექტების განხორციელების მონიტორინგის პროცესში, ამისათვის გამარჯვებული პროექტების ავტორებისგან ან/და მათი წარმომადგენლებისგან უნდა შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი.
- პროექტის ავტორი აუცილებლად ინფორმირებული უნდა იყოს პროექტის განხორციელების ვადების ცვლილებების შემთხვევაში - დაყოვნების მიზეზის მითითებით.

- სამოქალაქო ბიუჯეტის ციკლის დასრულების შემდეგ უნდა გაკეთდეს პროცესის შეფასება, რომელიც მომავალი წლის მომზადების საფუძველი გახდება.

რეკომენდაციები

- მოსახლეობა ხშირად ელოდება, რომ შერჩევის შემდეგ პროექტები მაშინვე განხორციელდება. ამიტომაც, კარგი იქნება, თუ მომზადდება და გამოქვეყნდება მოსახლეობისთვის გასაგები სქემა, თუ როგორ მიმდინარეობს განხორციელების პროცესი.
- ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ვებსაიტზე შეიძლება განთავსდეს „ელექტრონული ღილაკი“ ან ბანერი პროექტების შესახებ სრული ინფორმაციით.
- პროექტების განხორციელება შეიძლება ნაჩვენები იყოს ეტაპობრივად მუნიციპალიტეტის ვებსაიტზე, იმის მითითებით, თუ რა ეტაპზეა ამჟამად განხორციელების პროცესი. შეიძლება გამოქვეყნდეს ასევე სურათების, ტენდერის, პროექტის ბმულის და ა.შ.
- ყველა მოქალაქე არ სარგებლობს ინტერნეტით, ამიტომაც შეიძლება შეიქმნას „ცხელი ხაზი“, სადაც ყველას შეუძლია გაიგოს, თუ რა ხდება პროექტთან დაკავშირებით. ასევე შეიძლება დაიბეჭდოს ბუკლეტები პროექტების სურათებითა და აღწერით.
- სასურველია, რომ პროექტების განხორციელების შესახებ ინფორმირებული იყოს არა მხოლოდ მოსახლეობა, არამედ საკრებულოც.
- კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მსურველს მიეცემა მონიტორინგში მონაწილეობის საშუალება. ამისათვის შეიძლება შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი და აღინეროს მისი საქმიანობის პროცედურა.
- იმისათვის, რომ მოსახლეობის მონაწილეობა არ შემოიფარგლებოდეს პროექტების შერჩევით, კარგი იქნება მოქალაქეების ჩართვა ასევე პროექტების განხორციელებისთვის მომზადების ეტაპში. მაგალითად, პროექტებთან დაკავშირებით კონსულტაციების ჩატარება.

შესაძლო ინსტრუმენტები/გადანყვეტილებები: პროექტების განხორციელების ეტაპების ელექტრონული წარდგენა, „ცხელი ხაზი“.



დოკუმენტზე მუშაობდნენ:

ვლადიმერ აბრამიშკა - საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის კოორდინატორის ასისტენტი საქართველოში, მუნიციპალური დიპლომატიის საერთაშორისო ცენტრის კოორდინატორი და ექსპერტი

მამუკა აბულაძე - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

მიშა ასლიკიანი - აქტივისტი, მარნეული

დიანა ბაგიკიანი - თარჯიმანი

ლევან ბინაძე - საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი, ჭიათურა

დავით ჭიკაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილების თანამშრომელი

ლაიონიდ დონოს - თანამშრომლობის პოლონურ-უკრაინული ფონდი PAUCI, ტრენერი და ექსპერტი

ოლგა დოროხინა - საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის კოორდინატორის ასისტენტი საქართველოში, პელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის პროგრამების მენეჯერი

ოლგა ენძელაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „მარნეულის დემოკრატი ქალთა საზოგადოება“, მარნეული

ნინო გოლოშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სტრატეგიული განვითარების სააგენტო, სამოქალაქო ბიუჯეტის კოორდინატორი

ანა ჯაბისაშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართლოსი“, გორი

დავით ხოსრუაშვილი - საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია (სათეფა) /AFOGSU

ელენა კრავცოვა - სამოქალაქო ბიუჯეტის ლოკალური კოორდინატორი წყალტუბოში

ურშულა მაყვსკა - საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის კოორდინატორი საქართველოში, ექსპერტი

მარინა კუპატაძე - სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი, ბორჯომი

დავით ნიკუაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის თანამშრომელი

ვახა ნოზაძე - სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი, ბორჯომი

ბადრი პაპავა - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სამოქალაქო ბიუჯეტის კოორდინატორი

ვახა სტოკლუსკა - ქალაქ გდინიას სოციალური ინოვაციების ლაბორატორია, ტრენერი და ექსპერტი (პოლონეთი)

ელშაბატა შვიდროშკა - საერთაშორისო სოლიდარობის ფონდის წარმომადგენელი საქართველოში

თეთნა ტყეშელაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილების თანამშრომელი

იგორ წიკლაური - აქტივისტი გორიდან, სამოქალაქო ბიუჯეტის კოორდინატორი - 2016-2017 წწ.

სამოქალაქო
ბიუჯეტის
სტანდარტების
დანერგვის
პრაქტიკული
სახელმძღვანელო

საქართველოში სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტები ჩამოყალიბდა საქართველოში სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვის ოთხნობიანი გამოცდილების საფუძველზე პოლონურ-ქართული პროექტების ფარგლებში სერთაშორისო სოლიდარობის ფონდის პოლონეთის „განვითარების თანამშრომლობის პროგრამის“ (პოლონეთის დახმარება) მხარდაჭერით. სტანდარტების შემუშავების პროცესი ხორციელდებოდა პოლონელი ექსპერტების მხარდაჭერით და ნაწილობრივ ეყრდნობა პოლონეთში დანერგილ სამოქალაქო ბიუჯეტის სტანდარტებს, რომელიც შემუშავებულია ფონდის კვლევისა და სოციალური ინოვაციების ლაბორატორია „სტოჩინა“-ს მიერ.



პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ პოლონეთის განვითარების თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მისი ავტორების აზრს და მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას.